სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

18 / მარტი / 2025 წ.

KA080156765755825

№ **961**

განკარგულება

შპს „Construction Service“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 19 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „Construction Service“-ის (ს/ნ: 404935647) 2025 წლის 18 თებერვლის № CS-18/02/2025-070 მომართვა (რეგისტრაციის № 1692), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2025 წლის 26, 28 თებერვალს და 17 მარტს წარმოადგინა 2025 წლის 26 თებერვლის № CS-26/02/2025-081, 27 თებერვლის №CS-27/02/2025-090 და 14 მარტის №CS-17/03/2025-119 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №1929, №1993 და №2492), რომლებითაც გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 21 თებერვლის №506 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ის აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „Construction Service“-ის (ს/ნ: 404935647) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2025 წლის 1 აპრილს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „Construction Service“-ს (ს/ნ: 404935647) 2025 წლის 2 აპრილიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე